მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება N 37

ქ.გორი 3 მაისი 2017 წ

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ გორის N6 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ ნუცუბიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური" , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გივი კობახიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ ქალაქ გორის N6 საჯარო სკოლის ბალანსიდან ჩამოწერილი ძირითადი აქტივების/მცირეფასიანი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ნარჩენების გატანის მომსახურების შესყიდვა (CPV: 90500000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათ) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1. ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

3.1.2. ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

3.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

3.2.1. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შესრულება, კერძოდ:

- შემსყიდველს მოსთხოვოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

3.2.2. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.3.1 მოითხოვოს მიმწოდებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა, კერძოდ:

- მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება.
- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- მიმწოდებლისაგან მოითხოვოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4. შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათ) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. გორი, რუსთაველის ქ.#24.

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ გორის №6 საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების

დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ქალაქ გორის N6 საჯარო სკოლა	ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური"
ს/კ 218016723	ს/კ 417 884 757
მის.: ქ. გორი, რუსთაველის ქ.#24	მის.: [illegible] 252.
ტელ: 577922516	ტელ.: 599 936677
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „თიბისი ბანკი"	ს/ს სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TBCBGE22	ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა GE04TB7420736020100007	სახაზინო კოდი 743157490
დირექტორი: მარიამ ნუცუბიძე	დირექტორი: გივი კობახიძე
მ. ნუცუბიძე (ხელმოწერა) ბ.ა	(ხელმოწერა)

მიღება-ჩაბარების აქტი

3 მაისი 2017 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ გორის N6 საჯარო სკოლის დირექტორი--მ.ნუცუბიძე(შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური"დირექტორი - გ.კობახიძე (შემდგომში-„მიმწოდებელი") ვადასტურებთ,რომ მყიდველმა ჩაიბარა გამყიდველისაგან 2017 წლის 3 მაისს დადებული #37 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 30 ლარის ღირებულებით.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

შემსყიდველი

/მ.ნუცუბიძე/

მ. ნუცუბიძე

მიმწოდებელი

/გ.კობახიძე/